ხელშეკრულება № 1812/1
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთის მხრივ, ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო" (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი მენეჯერის ლიანა კოვზიაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ლუანა, წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე ზეგარდელის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის წესით ა(ა)იპ **„გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს საბავშვო ბაგა - ბაღებისათვის** გამოყოფილი სახსრებით საკვები პროდუქტის და შესაფუთი პარკების შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

#	საქონლის დასახელება	CPV კოდი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	კვერცხი	03142500	ცალი	116000	0,317	36772
2	ბრინჯი	03211300	კგ.	11600	2,37	27492
3	წიწიბურა	03211000	კგ.	5800	3,57	20706
4	მაკარონი და ვერმიშელი	15851100	კგ.	11600	2,07	24012
5	შაქარი	15831000	კგ.	11600	2,07	24012
6	ნამცხვარი ჯემით	15821200	კგ.	5360	4,37	23423,2
7	კარამელი ნონის	15842310	კგ.	5800	4,97	28826
8	შესაფუთი პარკი 5ლ.	18937100	ცალი	38000	0,02	760
9	შესაფუთი პარკი 25ლ.	18937100	ცალი	12000	0,1	1200
10					სულ:	187203,2

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება არის – 187203,2 (ასოთხმოცდაშვიდიათასორასსამი ლარი და 20 თეთრი) ლარი, დ.ღ.გ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2. საკვები პროდუქტები უნდა შეესაბამებოდეს: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №301/ნ ბრძანების „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესები და ნორმები"-ს მოთხოვნებს.

4.3. არსებული ნორმატიული დოკუმენტ(ებ)ის ცვლილების ან/და ახალი ნორმატიული დოკუმენტ(ებ)ისშემოღებისშემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტიდა მასთან დაკავშირებული გარემოებები შეუსაბამოს შეცვლილ გარემოებებს;

4.4. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას რომ მის მიერ მოწოდებული საკვები პროდუქტი იქნება ახალი, დაუზიანებელი.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 სამუშაო დღის ვადაში

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილები მოცემულია დანართი#1-ში

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

5.4. მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორები და მნეები.

6.2 ნაერთ მიღება-ჩბარების აქტს გადამოწმებს და ხელს მოაწერს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის

სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს კვების უზრუნველყოფის სპეციალისტი - ლელა ფალელაშვილი.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მოწოდების შემდგომ მოხდება

5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს: - შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია: - მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; - უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია ამოცვალოს (არსებობის შემთხვევაში) დაზიანებული პროდუქტი არაუგვიანეს მომდევნო დღის 12:00.

8.5. დაზიანებული პროდუქტის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ერთჯერადი ჯარიმა - ხელშეკრულების 1%-ის ოდენობით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს კვების სპეციალისტი ლელა ფალელაშვილი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო ს.კ.: 418471022 მის.: ქ.გორი, სტალინის გამზ.#16 ბანკი: ეროვნული ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ელ.ფოსტა: saagento18@gmail.com მენეჯერი: ლიანა კოვზიაშვილი Liana Kovziashvili Digitally signed by Liana Kovziashvili Date: 2020.12.21 10:52:11 +04'00'	შ.პ.ს. ლუანა ს.კ. 417887380 მის: გორი, ანწუხელიძის ქ.შენობა 1დ ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა.ა.: GE98TB7734736080100007 დირექტორი ივანე ზეგარდელის

_____ _____